საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

არაფინანსური კორპორაციების ფინანსური მაჩვენებლები

2024 წელი

22.10.2025
www.geostat.ge

22.10.2025

არაფინანსური კორპორაციების ფინანსური მაჩვენებლები

(2024 წელი)

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, არაფინანსური კორპორაციების აქტივების მოცულობამ 2024 წლის ბოლოსათვის 150.7 მილიარდი ლარი შეადგინა, საიდანაც 5.1 პროცენტი გამოსახული იყო უცხოური ვალუტით.

2024 წლისთვის მთლიან აქტივებში ფინანსური აქტივების მოცულობა 33.1 მილიარდი ლარი იყო.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური აქტივების სტრუქტურა 2023-2024 წლებში:

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია	2023		2024	
	მლნ. ლარი	%	მლნ. ლარი	%
ფინანსური აქტივები სულ	**29 548.5**	**100.0**	**33 072.5**	**100.0**
აქედან:				
ნაღდი ფული და დეპოზიტები	8 826.1	29.9	8 904.3	26.9
აქედან:				
ფული სალაროში ეროვნული ვალუტით	579.4	2.0	548.8	1.7
ფული სალაროში უცხოური ვალუტით	28.5	0.1	27.6	0.1
მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	6 564.5	22.2	6 631.3	20.1

2024 წელს ფინანსური აქტივების საერთო რაოდენობიდან მოკლევადიანი აქტივების მოცულობა 6.6 მილიარდი ლარი იყო, ხოლო ლიკვიდურობის პროცენტი - 56.0.

2024 წლის ბოლოსათვის არაფინანსური კორპორაციების ვალდებულებები 82.1 მილიარდ ლარს გაუტოლდა, საიდანაც მოკლევადიანი ვალდებულებები შეადგენდა 22.6 მილიარდ ლარს.

2024 წლის ბოლოსათვის არსებული მთლიანი ვალდებულებებიდან 17.3 მილიარდი ლარი[1] წარმოადგენდა ვალდებულებებს უცხოური ვალუტით, ხოლო არარეზიდენტების მიმართ არსებული ვალი (საგარეო ვალი) 12.0 მილიარდ ლარს შეადგენდა.

კაპიტალის და რეზერვების მოცულობამ 2024 წლის ბოლოსათვის 68.7 მილიარდი ლარი შეადგინა:

არაფინანსური კორპორაციების ფინანსური მაჩვენებლები 2023-2024 წლებში



[1] კონვერტირებული ლარში (2024 წლის ბოლოს მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით).

22.10.2025

არაფინანსური კორპორაციების მიერ 2024 წელს გაწეული საპროცენტო ხარჯები 3.2 მილიარდ ლარს შეადგენდა, ხოლო მთლიანი შემოსავლები - 20.6 მილიარდ ლარს, რომლის სტრუქტურაც წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე:

არაფინანსური კოორპორაციების შემოსავლების სტრუქტურა 2023-2024 წლებში



2024 წელს ვალის მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა (იგულისხმება სასესხო ვალდებულებების გასტუმრება სესხის ძირისა და პროცენტის გადასახადის სახით) 12.8 მილიარდი ლარი შეადგინა. აქედან, ვალის მომსახურება მხოლოდ სესხის პროცენტის მიხედვით 2.0 მილიარდი ლარი იყო. ვალის მომსახურება ფიზიკური პირებისგან მიღებული სესხების მიხედვით 164.5 მილიონ ლარს, ხოლო ვალის მომსახურება სხვა არაფინანსური კორპორაციებიდან მიღებული სესხების მიხედვით 959.8 მილიონ ლარს შეადგენდა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

დავითი ჟორჟოლიანი, ტელ: 2 36 72 10 (601). E-mail: dzhorzholiani@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge